

შპს ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 7

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 8

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ----- 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ----- 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 16
4. ძირითადი საშუალებები 17
5. არამატერიალური აქტივები 18
6. მარაგები 18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 18
8. ფული და ფულის ექვივალენტები 19
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 19
10. საგადასახადო ვალდებულება 19
11. ამონაგები 19
12. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 19
13. სხვა ხარჯები 20
14. საპროცენტო შემოსავალი 20
15. საპროცენტო ხარჯი 20
16. მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა 21
17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 21
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები 22
20. ბალანსის შემდგომი მოვლენები 22
21. დამტკიცების თარიღი 22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფის მენეჯმენტს და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობე ვართ შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ 2020 წლიდან კომპანიამ შეამცირა საოპერაციო საქმიანობის მასშტაბი და შეაჩერა საქმიანობა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოდიანებაზე. მოცემული გარემოების გაგრძელება დამოკიდებულია COVID 19 -ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით დაწესებული შეზღუდვების ხანგრძლივობაზე და მომხმარებლების მიერ სასტუმროს მომსახურების მიღების დაწყებაზე. მოცემული გარემოება მიუთითებს კომპანიის უნართან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2019 წლის 23 სექტემბერს პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ.

მოდIFIციების საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი:

საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების ვერ მოპოვება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების არსებობასთან დაკავშირებით;

საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების ვერ მოპოვება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის არსებობასთან დაკავშირებით;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ

აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეტვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია შპს "ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი"-ს მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის.

დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს შემდეგი მიზნებისთვის: გაუგზავნოს დამფუძნებელს ან/და განიხილოს სუბიექტის შიგნით შექმნილი შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2019 წლის საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად,

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალ-სახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

30.10.2020

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალ-სახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი



რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

30.10.2020

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

შპს „ამერიკელი პლაზა კორპორეტი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,908,926	4,485,528
არამატერიალური აქტივები	5	24,960	27,281
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,933,886	4,512,809
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	18,103	19,518
საგადასახადო აქტივი	10	44,405	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	86,776	31,241
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	38,680	640,375
სულ მიმდინარე აქტივები		187,964	691,134
სულ აქტივები		4,121,850	5,203,943
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		4,160,346	4,945,746
დაგროვილი მოგება/ (ზარალი)		(95,706)	156,386
სულ კაპიტალი		4,064,640	5,102,132
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	57,210	78,335
საგადასახადო ვალდებულებები	10	-	23,476
სულ მიმდინარე ვალდებულებები		57,210	101,811
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		4,121,850	5,203,943

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

შპს „ამერი პლაზა კორეკა ჯგუფი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,908,926	4,485,528
არამატერიალური აქტივები	5	24,960	27,281
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,933,886	4,512,809
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	18,103	19,518
საგადასახადო აქტივი	10	44,405	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	86,776	31,241
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	38,680	640,375
სულ მიმდინარე აქტივები		187,964	691,134
სულ აქტივები		4,121,850	5,203,943
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		4,160,346	4,945,746
დაგროვილი მოგება/ (ზარალი)		(95,706)	156,386
სულ კაპიტალი		4,064,640	5,102,132
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	57,210	78,335
საგადასახადო ვალდებულებები	10	-	23,476
სულ მიმდინარე ვალდებულებები		57,210	101,811
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		4,121,850	5,203,943

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

თ. ლომსაძე

შპს „ამერიკელი პლაზა კორპორაცია“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	11	2,741,264	2,306,843
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში		(1,415)	(16,921)
შეძენილი ნედლეული და მასალები	12	(223,096)	(237,347)
კაპიტალიზებული მარაგები		-	34,667
თანამშრომელთა ხელფასები და გასამრჯელოები		(719,034)	(595,207)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(599,897)	(593,883)
სხვა ხარჯები	13	(533,859)	(494,941)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		663,963	403,211
საპროცენტო შემოსავალი	14	6,651	4,574
საპროცენტო ხარჯი	15	-	(3,192)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება /			
(ზარალი), ნეტო	16	1,292	16,773
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	6,002	80
მოგება დაბეგვრამდე		677,908	421,446
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		677,908	421,446

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	11	2,741,264	2,306,843
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში		(1,415)	(16,921)
შეძენილი ნედლეული და მასალები	12	(223,096)	(237,347)
კაპიტალიზებული მარაგები		-	34,667
თანამშრომელთა ხელფასები და გასამრჯელოები		(719,034)	(595,207)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(599,897)	(593,883)
სხვა ხარჯები	13	(533,859)	(494,941)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		663,963	403,211
საპროცენტო შემოსავალი	14	6,651	4,574
საპროცენტო ხარჯი	15	-	(3,192)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი), ნეტო	16	1,292	16,773
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17	6,002	80
მოგება დაბეგვრამდე		677,908	421,446
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		677,908	421,446

დირექტორი
გიორგი თავდიშვილი
26.10.2020, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
თამარ ლომსაძე
26.10.2020, თბილისი

Handwritten signature of Tamara Lomsadze

შპს „ამერიკელი პლაზა კორეკა ჯგუფი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01.01.2018	4,945,746	(65,060)	4,880,686
წლის წმინდა მოგება	-	421,446	421,446
დივიდენდის გადახდა	-	(200,000)	(200,000)
31.12.2018	4,945,746	156,386	5,102,132
კაპიტალის შემცირება	(785,400)		(785,400)
წლის წმინდა მოგება	-	677,908	677,908
დივიდენდის გადახდა	-	(930,000)	(930,000)
31.12.2019	4,160,346	(95,706)	4,064,640

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01.01.2018	4,945,746	(65,060)	4,880,686
წლის წმინდა მოგება	-	421,446	421,446
დივიდენდის გადახდა	-	(200,000)	(200,000)
31.12.2018	4,945,746	156,386	5,102,132
კაპიტალის შემცირება	(785,400)		(785,400)
წლის წმინდა მოგება	-	677,908	677,908
დივიდენდის გადახდა	-	(930,000)	(930,000)
31.12.2019	4,160,346	(95,706)	4,064,640

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

შპს „ამერიკელი პლაზა კორპორეტი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	677,908	421,446
არაფულადი კორექტირებები:		
გაუფასურების ხარჯი	-	5,521
ცვეთა და ამორტიზაცია	625,657	593,880
საპროცენტო შემოსავალი	(6,651)	(4,574)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(6,002)	-
საკურსო სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	(1,292)	(16,773)
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,289,620	999,500
მიღებული პროცენტი	6,651	4,574
ცვლილებები მარაგებში	2,885	16,921
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(55,557)	(31,681)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(62,033)	2,310
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	(23,476)	4,662
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,158,090	996,286
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(930,000)	(200,000)
სესხის აღება	-	(152,318)
კაპიტალის ზრდა/(კლება)	(785,400)	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,715,400)	(352,318)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(46,012)	(88,526)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(722)	(3,450)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(46,734)	(91,976)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(604,044)	551,992
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	2,349	7,954
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	640,375	80,429
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	38,680	640,375

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	677,908	421,446
არაფულადი კორექტირებები:		
გაუფასურების ხარჯი	-	5,521
ცვეთა და ამორტიზაცია	625,657	593,880
საპროცენტო შემოსავალი	(6,651)	(4,574)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(6,002)	-
საკურსო სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	(1,292)	(16,773)
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,289,620	999,500
მიღებული პროცენტი	6,651	4,574
ცვლილებები მარაგებში	2,885	16,921
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(55,557)	(31,681)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(62,033)	2,310
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	(23,476)	4,662
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,158,090	996,286
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(930,000)	(200,000)
სესხის აღება	-	(152,318)
კაპიტალის ზრდა/(კლება)	(785,400)	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,715,400)	(352,318)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(46,012)	(88,526)
არამატერიალური აქტივის შეძენა	(722)	(3,450)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(46,734)	(91,976)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(604,044)	551,992
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	2,349	7,954
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	640,375	80,429
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	38,680	640,375

დირექტორი
 გიორგი თავდიშვილი
 26.10.2020, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
 თამარ ლომსაძე
 26.10.2020, თბილისი

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405228720) წარმოადგენს 2017 წლის 19 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

100% წილის მფლობელი და მმართველია:

შპს ამერი დეველოპმენტი (ს/კ 404956776).

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი - გიორგი თავდიშვილი, პ/ნ 61001002615.

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქ. N76ა.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019, 2018 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	10 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5 წელი

მანქანა-დანადგარები

5-10 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.4 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს და კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიებს.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.10 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სამზარეულოს ავეჯი	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	4,613,393	-	17,444	444,427	56,725	5,131,988
დამატება	6,673	-	7,697	72,153	2,014	88,537
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	-	(11)	(11)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,620,066	-	25,141	516,580	58,728	5,220,514
დამატება		3,000	2,271	40,614	127	46,012
აქტივების ჩამოწერა/გასვლა				(30,596)	(13,660)	(44,256)
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	4,620,066	3,000	27,412	526,598	45,195	5,222,270
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	115,330	-	663	21,046	5,238	142,278
პერიოდის ცვეთა	461,895	-	4,756	104,888	21,171	592,711
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(3)	(3)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	577,226	-	5,419	125,934	26,407	734,986
პერიოდის ცვეთა	462,007	150	5,424	116,965	18,418	602,964
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(11,642)	(12,964)	(24,606)
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	1,039,232	150	10,843	231,258	31,861	1,313,344
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,042,840	-	19,721	390,645	32,321	4,485,528
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	3,580,834	2,850	16,568	295,340	13,334	3,908,926

შპს „ამერიკელი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლიცენზიები	პროგრამები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	2,405	23,185	25,590
დამატება 2018	2,228	1,222	3,450
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,633	24,407	29,040
დამატება 2019	-	722	722
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	4,633	25,129	29,762
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	25	562	587
ამორტიზაცია 2018	307	865	1,172
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	333	1,426	1,759
ამორტიზაცია 2019	463	2,580	3,043
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	796	4,006	4,802
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	4,300	22,981	27,281
ნაშთი 31.12.2019-ის მდგომარეობით	3,837	21,123	24,960

6. მარაგები

მარაგები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
კაფე-რესტორნისა და ბარის საქონელი	11,866	15,532
ჰიგიენის საშუალებები	4,999	2,269
სამშენებლო მასალები	1,113	1,174
საწვავი	125	542
სულ	18,103	19,518

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	33,741	30,004
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯი	53,035	1,237
სულ	86,776	31,241

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	825	13,616
ფული ბანკებში (ლარი)	37,855	95,458
ფული ბანკებში (აშშ დოლარი)	-	513,623
ფული ბანკებში (ევრო)	-	17,678
სულ	38,680	640,375

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019, 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	45,234	47,357
მიღებული ავანსები	11,976	30,978
სულ	57,210	78,335

10. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება/აქტივი მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

11. ამონაგები

ამონაგები 2019 და 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან	2,598,027	2,172,472
შემოსავალი რესტორნის რეალიზაციიდან	137,500	79,703
სხვა შემოსავლები	5,736	54,668
სულ	2,741,264	2,306,843

12. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შეძენილი სმფ 2019 და 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ბარ-რესტორნში გამოყენებული მარაგის თვითღირებულება	178,716	134,879
რემონტზე გამოყენებული მასალების თვითღირებულება	7,468	11,643
კაპიტალიზებული მასალები	-	34,667
დახარჯული საწვავი	628	1,151
დასუფთავებაზე დახარჯული მასალები	18,704	23,892
სხვა მარაგის თვითღირებულება	17,580	31,115
223,096	237,347	

შპს „ამერიკელი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

13. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2019, 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სასტუმროს და რესტორნის მართვის მომსახურების ხარჯი	-	54,378
Booking.com -ის საკომისიო ხარჯი	109,716	91,824
კომუნალური ხარჯი	130,589	90,926
ჰიგიენის ხარჯი	99,174	89,143
რეკლამის ხარჯი	23,400	4,442
კომუნიკაციის ხარჯი	20,092	19,835
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	47,376
ტერმინალის მომსახურების ხარჯი	21,766	17,426
წარმომადგენლობითი ხარჯი	875	3,453
სხვა ხარჯი	35,268	31,151
ლიფტის მომსახურების ხარჯი	2,415	13,321
მცირეფასიანი ინვენტარის ჩამოწერა	31,310	15,297
მთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	5,521
პროგრამული მომსახურების ხარჯი	12,122	6,221
დაცვის ხარჯი	9,000	-
საკონსულტაციო ხარჯი	9,676	-
იჯარის ხარჯი	28,456	4,627
	533,859	494,941

14. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2019, 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	6,651	4,574
	6,651	4,574

15. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2019, 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
დირექტორის სესხის % (ლარი)	-	1,392
დამფუძნებლის სესხის % (აშშ დოლარი)	-	1,800
	-	3,192

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

16. მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 2019, 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	2,349	7,955
ეფექტი მოთხოვნებზე	(22)	-
ეფექტი ვალდებულებებზე	(1,035)	8,818
	1,292	16,773

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2019, 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მარაგების ზედმეტობა	1,463	-
ვალის პატიება	4,532	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	7	80
	6,002	80

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით განსაზღვრულ დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2019 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

	2019	2018
მაკონტროლებელი საწარმო	1,598	-
სხვადასხვა დაკავშირებული საწარმოები	16,888	24,227
სულ	18,486	24,227

საქონლის/მომსახურების შეძენა:

	2019	2018
მაკონტროლებელი საწარმო	24,977	18,662
სხვა დაკავშირებული საწარმოები	20,062	21,583
სულ	45,039	40,245

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები

	2019	2018
სხვა დაკავშირებული საწარმოები	1,020	1,055
სულ	1,020	1,055

შპს „ამერი პლაზა ჰორეკა ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები:

	2019	2018
მაკონტროლებელი საწარმო	4,363	1,370
სხვა დაკავშირებული საწარმოები	849	1,212
სულ	5,212	2,582

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2019	2018
დირექტორის ანაზღაურება	140	-
სულ	140	-

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2020 წლის 30 იანვარს მოხდა საწესდებო კაპიტალის შემცირება 46,794 ლარით.

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი „COVID-19“ პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე.

პანდემიის ფონზე სასტუმროს მოუწია ოპერირების ჯერ შეზღუდვა და ამჟამად სასტუმრო ამერი პლაზას ოპერირება შეჩერებულია. მენეჯმენტი ფიქრობს, რომ სექტორის გამოცოცხლება 2021 წლის გაზაფხულიდან დაიწყება, შესაბამისად ამ პერიოდიდან არის მოსალოდნელი სასტუმროს ოპერირების განახლება.

კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

21. დამტკიცების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღია 2020 წლის 26 ოქტომბერი.